**ხელშეკრულება № 13**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. გორი**

**7 აპრილი 2015 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თვითმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოყობის სამსახური (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ბონდო მარუაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ოფისცენტრი"(შემდგომში „მიმწოდებელი")წარმოდგენილი დირექტორით ანა გორგაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ თვითმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოყობის სამსახურისათვის გამოყოფილი სახლრებით საკანცელარიო ნივთების,ა, ავეჯის აქსესუარების, ჰიგიენური საშუალებების, საწმენდი საშუალებების, იზოლირებული მავთულის და კაბელის, ქსოვილის ნივთის, სპეციალური ტანსაცმელის და აქსესუარების (CPV30100000, CPV22800000, CPV39200000,CPV33700000, CPV39800000, CPV39500000, CPV 31300000, CPV 18400000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: საკანცელარიო ნივთები, ავეჯის აქსესუარები, ჰიგიენური საშუალებები, საწმენდი საშუალებები, იზოლირებული მავთული და კაბელი, ქსოვილის ნივთი, ხელთათმანი დანართი №1 შესაბამისად

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში №1
3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 1355.6 (ათასასამასორმოცდათხუთმეტი და სამოცი თეთრი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **5(ხუთი)** კალენდარულ დღეში.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი. ცხინვალის გზატ; მე-5 კმ.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30(ოცდაათი) კალენდალური დღისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 აგვისტომდე

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ თვითმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის სასაწყობო-მეორნეობის სპეციალისტი – ილია კლიმიაშვილი

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.6 ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი №1.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

---

| | |
|---|---|
| **დამკვეთი** | **შემსრულებელი** |
| ა(ა)იპ თვითმართველი თემის გორის<br>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური | შპს „ოფისცენტრი“ |
| ს/კ 417884622 | ს/კ 417875785 |
| ბანკი : სს ლიბერთი ბანკი | ბანკი: სს პროკრედიტბანკი |
| ბანკის კოდი : LBRTGE22 | ბანკის კოდი : MIGCGE22 |
| ა/ა GE65LB0115135041722000 | ა/ა GE96PC0143600100031078 |
| მისამართი: გორი, ცხინვალის გზ. მე-5 კმ | მისამართი : ქ. გორი, ჯორბენაძის ქ.. №28 |
| **დირექტორი ბონდო მარუაშვილი** | **დირექტორი ანა გორგაძე** |

| # | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ანტისტეპლერი | 5 | 1 | 5 |
| 2 | ბაინდერი | 20 | 3,5 | 70 |
| 3 | ბაინდერი პატარა | 20 | 3 | 60 |
| 4 | სტეპლერი | 10 | 4,5 | 45 |
| 5 | სტ.ტყვია | 19 | 0,5 | 9,5 |
| 6 | ჭიკარტი | 3 | 1 | 3 |
| 7 | საკანცელარიო დანა | 5 | 0,5 | 2,5 |
| 8 | სასაზუთე თარო | 3 | 15 | 45 |
| 9 | საშლელი | 20 | 0,3 | 6 |
| 10 | სახაზავი რკინის | 5 | 3 | 15 |
| 11 | სახაზავი | 3 | 0,5 | 1,5 |
| 12 | დაფა | 3 | 2,5 | 7,5 |
| 13 | მელანი | 1 | 7 | 7 |
| 14 | მოსანიშნი | 20 | 3,5 | 70 |
| 15 | მარკერი | 10 | 1 | 10 |
| 16 | კალამი | 20 | 1 | 20 |
| 17 | კალამი | 10 | 0,5 | 5 |
| 18 | კალენდარი | 5 | 5 | 25 |
| 19 | კორექტორი | 17 | 0,8 | 13,6 |
| 20 | მაკრატელი | 5 | 2 | 10 |
| 21 | პაპკა რეზინის | 5 | 2 | 10 |
| 22 | დამჭერი | 12 | 0,3 | 3,6 |
| 23 | დამჭერი | 12 | 0,4 | 4,8 |
| 24 | დამჭერი | 24 | 0,2 | 4,8 |
| 25 | დამჭერი | 36 | 0,15 | 5,4 |
| 26 | სახვრეტი | 2 | 7 | 14 |
| 27 | ფანქარი წვერით | 10 | 1,2 | 12 |
| 28 | გამომთვლელი | 5 | 10 | 50 |
| 29 | ფაილი | 5 | 3,5 | 17,5 |
| 30 | ფანქარი | 20 | 0,5 | 10 |
| 31 | ფანქრის წვერები | 6 | 2 | 12 |
| 32 | გამომთვლელი | 3 | 7 | 21 |
| 33 | მოსანიშნი | 1 | 1,2 | 1,2 |
| 34 | დამაგრძელებელი | 2 | 18 | 36 |
| 35 | ბლოკნოტი | 8 | 6,5 | 52 |
| 36 | ბლოკნოტი | 2 | 5 | 10 |
| 37 | სასაბუთე ვანა | 5 | 3,5 | 17,5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 38 | სასაბუთე ურნა | 6 | 8 | 48 |
| 39 | სკრეპი პატარა | 3 | 0,5 | 1,5 |
| 40 | შემოსული და გასული დოკუმენტე ბლოკნოტი | 4 | 2 | 8 |
| 41 | ურნა მეტალის | 2 | 40 | 80 |
| 42 | სწრაფჩამკეტი | 50 | 0,5 | 25 |
| 43 | წებო მშრალი | 10 | 0,8 | 8 |
| 44 | საოფისე ურნა | 2 | 7 | 14 |
| 45 | საოფისე ურნა | 6 | 8 | 48 |
| 46 | სათლელი | 10 | 1 | 10 |
| 47 | ტელეფონის ბლოკნოტი | 5 | 5 | 25 |
| 48 | ჭიკარტი ფერადი თავით | 7 | 1 | 7 |
| 49 | სამაგიდე კომპლექტი | 3 | 30 | 90 |
| 50 | სამაგიდე კომპლექტი | 7 | 16 | 112 |
| 51 | ფასმაჩვენებელი | 3 | 1 | 3 |
| 52 | მონიტორის საწმენდი სალფეტკი | 1 | 6 | 6 |
| 53 | რეგისტრაციის ჟურნალი | 4 | 8 | 32 |
| 54 | უნიტაზის ჯოხი | 2 | 5 | 10 |
| 55 | კომეტი სითხე | 2 | 4,5 | 9 |
| 56 | კომეტი ფხვნილი | 2 | 2,5 | 5 |
| 57 | ცოცხი აქანდაზით | 2 | 15 | 30 |
| 58 | ტუალეტის ქაღალდი | 48 | 0,65 | 31,2 |
| 59 | თხევადი საპონი | 3 | 1,5 | 4,5 |
| 60 | სახეხი მავთული | 2 | 1 | 2 |
| 61 | მინის ტილო | 5 | 2 | 10 |
| 62 | მინის საწმენდი სითხე | 2 | 1,5 | 3 |
| 63 | ხელთათმანი | 4 | 1,5 | 6 |
| 64 | ვედრო ჯოხით | 1 | 15 | 15 |
| *სულ ჯამი* | | | *1355,6 ლარი* | |

დირექტორის ბონდო მარუაშვილი

დირექტორი ანა გორგაძე